ოქმი:**ო63. 6324158001**
თარიღი:**06/06/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის

ო ქ მ ი N 10

ქ. სამტრედია. 3 ივნისი, 2024 წელი.

2024 წლის 3 ივნისს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომაია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადეიშვილი, დავით ჯანელიძე, გოჩა არველაძე, პაატა კოხრეიძე, ჯონი თევზაძე, ლიზა კრავეიშვილი, ჯონი ახობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გივი ჯულაყიძე, ემზარ შუბლაძე, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ქეთევან კუტალაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' ხელმძღვანელი, კობა ბიბილეიშვილი.

2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.

3. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' ხელმძღვანელი, ხათუნა გაგუა. ბუღალტერი, ნინო რუხაძე.

4. ა.(ა).ი.პ. ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს ხელმძღვანელი, მარინა თევზაძე. ბუღალტერი, თემურ გეგუჩაძე.

5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. დაგეგმვის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.

6. გაზეთ ,,სამტრედიის მაცნე''-ს პასუხისმგებელი მდივანი, ლევან გაბეჩავა.

7. საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი. მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტები: ნატო ჯულაყიძე, ბეჟან გოგია.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების

პროექტი, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ პუნქტის ,,ბ.ი'' ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 ივნისის სხდომის დღის წესრიგი:

1. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

2. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №-63.63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

3. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

4. ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის №. 63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

5. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე./

6. სხვადასხვა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 27-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (27 ხმით), დამტკიცდა განკარგულება,

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 3 ივნისის სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ''.

განცხადების უფლება ითხოვა საკრებულოს წევრმა, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''-ს თავმჯდომარემ, ემზარ შუბლაძემ. მან აღნიშნა, ,,იმ დეპუტატებმა, რომლებმაც ხმა მისცეს რუსულ კანონს, ერთი ხელის მოსმით დააკარგვინა ჩვენს ქვეყანას ჩვენი წინაპრების მონაპოვარი. მე, ვერ მივცემ ჩემს თავს უფლებას დღეს, აქ განვიხილო ა.(ა).ი.პ-ების სუბსიდიის გეგმაში მუხლობრივი ცვლილებები მაშინ, როცა ქვეყანაში მოხდა ის უბედურობები, რაც მოიტანა ამ ხელისუფლებამ. ვინაიდან საქართველოს ფაქტიურად შეეზღუდა ის მთავარი გზა, რასაც ევროპული წინსვლა და ევროპული მომავალი ჰქვია. აქედან გამომდინარე, მე, ჩემს გუნდთან ერთად, ვალდებულად ვთვლით თავს დავტოვოთ სხდომა. გადავდივართ ბოიკოტის რეჟიმში მანამ, სანამ ეს ხელისუფლება იქნება საქართველოში.

საკრებულოს წევრებმა: ემზარ შუბლაძემ, აკაკი მინაშვილმა, დავით ნიკოლეიშვილმა, ქეთევან კუტალაძემ, ლაშა გრიგოლიამ (5 წევრი) პროტესტის ნიშნად დატოვეს საკრებულოს სხდომა.

ოპოზიციური ფრთის წარმომადგენელთა გადაწყვეტილებას გამოეხმაურნენ საკრებულოს წევრები: მანანა სირბილაძე, ლიზა კრავეიშვილი, ტარიელ ცომაია, გიორგი ლეჟავა.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 მაისის № 62-622414446 წერილობითი მომართვის საფუძველზე, ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, საქონელი და მომსახურეობის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 17.0 ათ.ლარით. შესაბამისად, არაფინანსური აქტივის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება 17.0 ათ.ლარით, რომელიც გამოწვეულია ამორტიზირებული სანაგვე ბუნკერების ახლით ჩანაცვლებასთან დაკავშირებული ხარჯით. ასევე ხორციელდება ცვლილება შრომის ანაზღაურების ხარჯის მუხლში. კერძოდ, განათების განყოფილებაში ემატება ერთი საშტატო ერთეული, ,,კოშკურა ამწის მძღოლი''. ცვლილება გამოწვეულია იმით, რომ კომუნალური გაერთიანების დაქვემდებარებაში არსებობს სამი ერთეული კოშკურა ამწე, რომელზედაც დასაქმებულია მხოლოდ ორი მძღოლი. იქედან გამომდინარე, რომ განათების წერტილების რაოდენობამ მიაღწია 15 ათას ერთეულს, ესაჭიროებათ მესამე მძღოლი. შესაბამისად, საშტატო ერთეული, ნაცვლად 106 ერთეულისა, განისაზღვრება 107 საშტატო ერთეულით. საჭიროა განხორციელდეს სახელფასო განაკვეთში შემდეგი შიდა მუხლობრივი ცვლილება: კერძოდ, სახელფასო დანამატის ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 6685,0 ლარით. დამატებული მძღოლის საშტატო ერთეულის სახელფასო ანაზღაურება განისაზღვრება 6685 ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება,

,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233592 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. რომლის შესაბამისად, ***სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 მაისის*** №62.622414448 წერილობითი მომართვის საფუძველზე, ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, 2024 წლის ბიუჯეტის გეგმაში, აისახება 2024 წლის 1 იანვრისათვის არსებული საკუთარი სახსრების შემოსავლის ნაშთის 11.8 ათ.ლარი. შესაბამისად იზრდება ხარჯვითი ნაწილი, ,,საქონელი და მომსახურების ხარჯების გეგმა'' 11.8 ათ.ლარით. კერძოდ, ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯის მუხლში თანხა იზრდება (ოფისის რემონტისათვის საჭირო მასალების შეძენისათვის) 1.2 ათ.ლარით. საოფისე ავეჯის შეძენის ხარჯის მუხლში 2.0 ათ.ლარით; სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯის მუხლში (სასმელი წყლის მილების, ხე-ნარგავებისა და ყვავილების შეძენისათვის) 8.6 ათ.ლარით. ასევე 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება. კერძოდ, მუხლში ,,არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა'', თანხა მცირდება 1.5 ათ.ლარით, შესაბამისად ,,საქონელისა და მომსახურების ხარჯების გეგმის'' მუხლში თანხა იზრდება 1.5 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.63233593 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 მაისის № 62-622414447 წერილობითი მომართვის შესაბამისად, ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანება''-ს 2024 წლის სუბსიდიის გეგმაში. კერძოდ, თანამდებობრივი სარგოს მუხლში თანხა მცირდება 5.0 ათ.ლარით,

,,საქონელი და მომსახურების ხარჯის'' მუხლში 55.0 ათ.ლარით (მ.შ.კვების ხარჯის მუხლში თანხა მცირდება 35.0 ათ.ლარით კონტიგენტის გამოუცხადებლობის გამო, ხოლო საოფისე ავეჯის მუხლში 20.0 ათ.ლარით). შესაბამისად, დამქირავებლის მიერ გაცემული სოციალური უზრუნველყოფის ხარჯის მუხლში, დეკრეტული შვებულების გასაცემად, თანხა გაიზარდა 5.0 ათ.ლარით, ხოლო არაფინანსურ აქტივში არასაცხოვრებელი შენობების ხარჯის მუხლში (ქალაქის N1 და N7 ბაგა-ბაღებში მიმდინარე რემონტისათვის, სურსათის უვნებლობის შენიშვნების აღმოსაფხვრელად) 55.0 ათ.ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების'' 2024 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ", სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ-63.632335910 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, განკარგულების პროექტი, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ. 63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

საკრებულოში შემოსული, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 23 მაისის №62-622414449 წერილობითი მომართვის შესაბამისად, (საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების (N121/N25/ნ 12 აპრილი 2024 წ.) საფუძველზე), ხორციელდება ცვლილება ა.(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი" -ს 2024 წლის ბიუჯეტში. კერძოდ, ა.(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის" 2024 წლის საშტატო ერთეულის დანართ N 5-ში. ასევე ხორციელდება მუხლობრივი ცვლილება, კერძოდ, არაფინანსური აქტივის გეგმა მცირდება 50,7 ათასი ლარით, ხოლო საქონელი და მომსახურების მუხლში თანხა მცირდება 5.3 ათასი ლარით, შესაბამისად თანხა იზრდება, შრომის ანაზღაურების მუხლში 56.0 ათასი ლარით. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი ახორციელებს დელეგირებულ უფლებამოსილებას, რის შესაბამისად ეს ბრძანება საქართველოს ფინანსთა მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება N121/N25/ნ 12 აპრილი 2024 წ.ძალაში შესულია გამოქვეყნებისთანავე 2024 წლის 16 აპრილიდან. ასევე გამომდინარე ამ ბრძანებიდან, რომელიც ითვალისწინებს ხელფასების გაცემას ამ პერიოდიდან, ა.(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის" ხელფასების გაცემა 1 მაისიდან, არ იწვევს ხარჯების ზრდას კანონის შესაბამისად. საკუთარი შემოსავლების მუხლში თანხა იზრდება 2,9 ათასი ლარით. შესაბამისად, ხარჯვის ნაწილში, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს შორის გაფორმებული ხელშეკრულება N40-ის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს „ტუბერკულოზის

კონტაქტების მართვა“-ს, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სახელფასო ფონდის გაზრდას 1,6 ათასი ლარით; მალარიის საპროფილაქტიკო ღონისძიებების გასატარებლად დაიდო ხელშეკრულება (N334) დაავადებათა კონტროლის ცენტრსა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს შორის, რომლის თანახმად, სახელფასო ფონდში თანხა იზრდება 1,3 ათასი ლარით.

> საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა განკარგულება, ,,არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი''-ს 2024 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ'', სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის Nგ. 63-632335916 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო, დადგენილების პროექტი, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

> ***მომხსენებელმა აღნიშნა, რომ*** **„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, მუნიციპალიტეტებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებაში შეტანილი 2024 წლის 14 მაისის N668 ცვლილების თანახმად, სამტრედიის მუნიციპალიტეტისათვის** პროექტის მთლიანი ღირებულების ფარგლებში მიმდინარე წელს ასანაზღაურებელი თანხები განესაზღვრა 7 252.3 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის პროექტის განხორციელებისთვის გამოყოფილი თანხა მთავრობის განკარგულებით შეადგენს - 6746.9 ათას ლარს, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტით თანადაფინანსება შეადგენს - 505.3 ათას ლარს. შესაბამისად, გაიზარდოს **(კოდი 02 01) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა მთავრობის განკარგულებით - 38.3 ათასი ლარი.
>
> **მცირდება სულ 133.6 ათასი ლარით:**
>
> - **(05 01 01 კოდი) სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქციის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 90.6 ათასი ლარით;
> - (01 01 02 კოდი) სამტრედიის მერიის არაფინანსური აქტივების გეგმა - 43.0 ათ. ლარით;
>
> **შესაბამისად გაიზარდა და მოწესრიგდა: სულ 133.6 ათასი ლარით:**
>
> - **(02 03 03 კოდი) სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების** არაფინანსური აქტივების გეგმა - 33.6 ათასი ლარით;
> - **(02 01 კოდი) გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსების** არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა გაიზარდოს 100.0 ათასი ლარით.

მუხლობრივი ცვლილებები:

- **(03 01 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 17.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **(04 01 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები)გაერთიანების** სუბსიდიის გეგმა შემცირდეს 55.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის არაფინანსური აქტივების გეგმა.

- **(03 02 კოდი) ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანების** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 1.5 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.

- **(06 01 01 კოდი) ა.(ა).ი.პ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრის** არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 50.7 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის სუბსიდიის გეგმა.

(02 02 02 კოდი) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის არაფინანსური აქტივების გეგმა შემცირდეს 11.0 ათასი ლარით და შესაბამისად გაიზარდოს ამავე კოდის საქონელი და მომსახურების გეგმა.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი დადგენილების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 22-მა წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (22 ხმით), დამტკიცდა დადგენილება, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 დეკემბრის N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/დადგენილება თან ერთვის/

ამით, დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა დასრულებულია.

სხდომის მდივანი: მაია ღოღობერიძე

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი